კონკურსის დებულება

1.ზოგადი

დებულება განსაზღვრავს კონკურსის **„ ჩემი სოფლის დიალექტები“** ჩატარების წესებს, რომელიც ორგანიზებულია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ.

2. კონკურსის მიზანი:

რაჭული დიალექტების კვლევა - საკუთარი სოფლის დიალექტების შესახებ ჩანაწერების მომზადება და შედარება თანამედროვე სამეტყველო ენასთან.

3. მონაწილეები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ

- **VI, VII, VIII, IX, X კლასების ახალგაზრდებს.**
- **მონაწილეთა რაოდენობა არ არის შეზღუდული**.

4. კონკურსის მიმდინარეობა:

- ინფორმაცია კონკურსის „ჩემი სოფლის დიალექტები“- შესახებ განთავსდება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის “ფეისბუქ გვერდზე” - ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური;
- მონაწილეებმა უნდა წარადგინონ მაქსიმუმ 3-წუთიანი ვიდეოჩანაწერი და პრეზენტაცია (მაქსიმუმ 3 (სამი) თაბახის ფურცელი - A4 ფორმატი), რომელიც განთავსდება აღნიშნული სამსახურის “ფეისბუქ გვერდზე”.

5. **ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები:**

ნამუშევრებს შეაფასებს - ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული საკონკურსო კომისია და სოციალური ქსელის მომხმარებელი.

სოციალური ქსელის მომხმარებელი ნამუშევარს აფასებს მოწონებების (ლაიქების) საშუალებით.

- გამოვლინდება 4 გამარჯვებული. 2 გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია, 2 გამარჯვებულს - სოციალური ქსელის მომხმარებელი.
- გამარჯვებულები გამოვლინდებიან პრეზენტაციებისა და ვიდეო ჩანაწერების შეფასების საფუძველზე.

6. **კონკურსის კალენდარი**:

- კონკურსი ცხადდება 14 აპრილს;
- მასალების მიღება – 30 მაისის 00.00 საათამდე;
- გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება 1 ივნისი .

7. **კომისიის წევრები :**

- ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
- ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური;
- ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია;
- ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი
- სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- ონის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

8. **პრიზები**

- გამარჯვებულები **გაემგზავრებიან შემეცნებით ექსკურსიაზე იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში**

9. **პროექტის შედეგები:**

- ახალგაზრდების გააქტიურება და ჩართულობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დაცვის მიმართულებით;
- კვლევის უნარების გაზრდა და გამოკვლეული მასალის შესაბამისად, შინაარსიანი პრეზენტაციის მომზადებისა და წარდგენის უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- თანატოლების ნამუშევრების გაცნობა, მისი სწორი აღქმა და შეფასება.

10. **კონკურსის ორგანიზატორი** :

- ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.